საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/5049
06/09/2022

5049-21-2-202209061705

შპს „გინუს“
მის: ქ. რუსთავი, შოთა რუსთაველის ქუჩა, კორპ. 32,

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი 2022 წლის 9 აგვისტოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილი N3889 განცხადება, რომელიც ეხება გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფ. ახალი სამგორის მიმდებარედ შპს „გინუს“ სასარგებლო წიაღისეულის 81 766 ტონა თიხა-თაბაშირის (გაჯი) მოპოვების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს და გაცნობებთ შემდეგს:

- გზშ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ საქმიანობა არ ითვალისწინებს ცხოველთა სადგომების მოწყობას და შესაბამისად ეპიდემიოლოგიურ მოკვლევას, გაცნობებთ, რომ „ცხოველთა გადამდები დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ-საკარანტინო ღონისძიებათა განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 ივლისის №348 დადგენილების მე-12 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნები, ამავე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად ასევე ვრცელდება წიაღისეულის ღია კარიერული წესით მოპოვების საქმიანობაზე, შესაბამისად აღნიშნული საკითხი გათვალისწინებული უნდა იყოს გზშ-ის ანგარიშში;
- გზშ-ის ანგარიშში დანართად წარმოდგენილი სამთო მინაკუთვნის რეკულტივაციის გეგმა არ შეესაბამება და ვერ აკმაყოფილებს „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მე-3 მუხლის მე-12 პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. ამასთან, გეგმის ტექსტური ნაწილი, ასევე გეგმაში ასახული ციფრობრივი მონაცემები საჭიროებს კორექტირებას;
- გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ლიცენზიით დაწესებული სამთო მინაკუთვნი წარმოდგენილია 6 უბნად და საერთო ფართობი შეადგენს 204 415 მ^2-ს, ამასთან სხვადასხვა ქვეთავში მოცემულია თითოეული უბნის ფართობის შესახებ ინფორმაცია, თუმცა მე-4 უბნის ფართობი გზშ-ის სხვადასხვა ნაწილში განსხვავებულია (31800 მ^2, 31000 მ^2). ამასთან თითოეული უბნის მიხედვით

წარმოდგენილია ნიადაგის ნაყოფიერი ფენის, სანიაღვრე წყლების რაოდენობის და სხვა გაანგარიშება 31000 $მ^2$ ფართობის მიხედვით, რაც არ შეესაბამება სამთო მინაკუთვნის საერთო ფართობს და საჭიროებს კორექტირებას;

- გზშ-ის ანგარიშში აღნიშნულია რომ „თითოეულ უბანზე გაყვანილი იქნა ერთი შურფ/ბურღილი (#1, 2, 3, 4, 5 და 6) – სიღრმით 1,0“. გზშ-ის ანგარიშში დაზუსტებას საჭიროებს შურფ/ბურღილების სიღრმე და GPS კოორდინატები;

სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით კორექტირებული გზშ-ის ანგარიშისა და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ განსაზღვრული სრულყოფილი დოკუმენტაციის სააგენტოში წარმოდგენის შემდეგ.

თეიმურაზ მთივლიშვილი

სააგენტოს უფროსი - მ.შ.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო